



430/3-2/22 2 18012022

430/3-2/22

18-01-2022

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის უფროსს

ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

ამა წლის 17 იანვარს, ტვ „პირველის“ საინფორმაციო გამოშვებისას (20:00 სთ) გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესყიდვების სააგენტოზე განხორციელებული შესყიდვის შესახებ. (იხილეთ #MOD 2 22 00035060 14.01.2022)

კერძოდ, TV-პირველის სიუჟეტში საუბარია შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ გვერდზე განთავსებულ მოხსენებით ბარათზე, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ლუღუშაური.


მოხსენებაში დეტალურად არის აღწერილი არამხოლოდ აშშ-სგან ტანკსაწინააღმდეგო სისტემების-Javelin- შესყიდვის შესახებ ინფორმაცია (რაც 2017 წელსაც მათ შორის ოდენობის და ჯამური ღირებულების კუთხით საჯარო იყო აშშ-ს მხრიდან და ეს ინფორმაცია ასევე საჯარო იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდის მეშვეობით), არამედ გასაჯაროვდა საბანკო ანგარიშებზე არსებული თუ დასამატებელი თანხის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ისევე, როგორც ინფორმაცია აშშ-სთან მოლაპარაკებების შესახებ, მათ შორის 7 ერთეული UH-1H ტიპის-შვეულმფრენის მოდერნიზების მომსახურებას და საჭირო სათადარიგო ნაწილების შესყიდვის შესახებ. აქვე გასაჯაროვდა სიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 4 ოქტომბრის განკარგულება აღნიშნულთან მიმართებაში და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 ოქტომბრის განკარგულება #GG-B-UDH UH-1H ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ.

17 იანვარს სადამოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების საპასუხო განცხადებაში ვკითხულობთ, რომ გრანტით შესყიდული შეიარაღების შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობითაც არის საჯარო. თუმცა, იმავე განცხადებაში არ ჩანს, რამდენად ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს უფლება გაესაჯაროებინა აშშ-სთან სამხედრო სფეროში მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი და დეტალური ინფორმაცია და სიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის და მთავრობის ზემოხსენებული განკარგულებების შესახებ ინფორმაცია.

კანონმდებლობით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე:

1. ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათის გასაჯაროებით და იმ დეტალებით, რომელიც ამ ბარათშია გასაჯაროებული, დაარღვია თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შესაბამისი კანონმდებლობა, (კანონი „სახელმწიფო საიდუმლობის შესახებ“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის 321 დადგენილება და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული მოთხოვნები).
 2. იყო თუ არა საჯარო სივ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 4 ოქტომბრის განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 ოქტომბრის განკარგულება #GG-B-UDH UH-1H ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ.
 3. არის თუ არა საიდუმლო აშშ-ს მიერ სამხედრო ხარჯებისთვის გამოყოფილ საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი თუ დამატებითი სახსრები საჯარო?
 4. არის თუ არა სამხედრო მიზნებისთვის გრანტით შექმნილი შეიარაღების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის საჯარო?
 5. კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში დაიწყო თუ არა თქვენმა სამსახურმა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.
- პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია





საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



SSG 6 22 00019276



07/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

2022 წლის 18 იანვრის N 430/3-2/22 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა თქვენს წერილში დასმული საკითხები, რასთან დაკავშირებითაც წარმოგიდგენთ შემდეგს:

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ყოველწლიურად ამტკიცებს „სახელმწიფო დეპარტამენტის, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების ასიგნებების აქტს“, რომელიც განსაზღვრავს საგარეო სამხედრო დაფინანსების საკითხს პარტნიორი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. აღნიშნულის საფუძველზე, საგრანტო შეთანხმებებით, რომლებიც აშშ-ის მთავრობის მიერ ვრცელდება საჯაროდ, საქართველოს მიღებული აქვს სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკა, შეიარაღება და მომსახურება. აშშ-ის სხვადასხვა უწყების მიერ, მათი მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ, ასევე ღიად და საჯაროდ ვრცელდება კონკრეტული ინფორმაციები საქართველოსთვის მისაწოდებელი როგორც ტექნიკისა და შეიარაღების, ასევე გასაწევი მომსახურებების (წვრთნები, აღჭურვა და სხვა) შესახებ.

ხსენებულის საფუძველზე, მაქსიმალური გამჭვირვალობისა და კანონიერების დაცვისათვის, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამერიკული მხარის მიერ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და გასაჯაროებულია, საქართველოს მთავრობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სხვა უწყებების აქტები წარმოადგენენ ღია დოკუმენტებს და მათი დასაიდუმლოების აუცილებელი და უპირობო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უწყების შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალურია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს წერილში წარმოდგენილი საკითხების რეალიზებისა და აღსრულების პროცესში ქართული მხარის მიერ განხორციელებული ქმედებები, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით, რაიმე ტიპის



სამართლებრივი ხასიათის ხარვეზს არ შეიცავს და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამართლებრივი რეაგირების საფუძველი არ გამოკვეთილა.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი
გრიგოლ ლილუაშვილი

